№ 32(268) 10 კ.

# „ღორი მუხის ქვეშ“ (შებრუნებით)

19 24/VIII 30



ღორის მწვადით, ღორის ქონით
პეტრე გაძღა, გაიბერა.
იქვე ახლოს მუხის ძირას
წამოწვა და მორთო მღერა:

რა კარგია, მშვენიერი
ღორის ხორცი, ღორის ქონი!
მასზე უფრო მარგებელი
სხვა ცხოველი არ არის მგონი.

ბევრი მოვლაც არ სჭირია,—
გადააგდე ეზოდანა.
დაგჭირდება, - დაიჭირე,
გამოუსვი ყელში დანა.

რად არ იცი: მოვლა, ჭამა
რომ ჩვენთვისაც მარგია?!
გავსუქდებით, გავიზრდებით,
ეს შენთვისაც კარგია“!

ღორმა უთხრა: „ჭკუა - მოკლევ,
რეგვენო და უმადურო.
შენ ჭკუაზე ვინ მოგიყვანს,
თუნდაც გცემოს თავში ურო.

პეტრემ უთხრა: შენი მოდგმა
ასეთ ყოფას ეთვისაო.
დარდიც არ მაქვს შენი კვების
ვის სცალია შენთვისაო.

მხოლოდ გქონდეს კარგი ხორცი,
მსუქანი და გემრიელი.
ხრულებითაც არ ვსწუხდები,
თუ კუჭი გავქს ცარიელი.

ღორმა უთხრა: ეჰ, რა გითხრა,
დიდ ლუკმების ყლაპიაო!?
აფსუსია, რომ მაგ მხრებზე
კაცის თავი გაბიაო.



# ღორი



ბებიაჩემი მორწმუნე ქალი იყო.

აქედან ყველაზე მეტა მოგება და სარგებლობა ჩვენს ხუცესს ჰქონდა. ბებიაჩემი ისე არ გაუშვებდა, რომ მაგრად არ გამოეძღო. მოგეხსენებათ, რომ ომის წინადროინდელ ერთი ხუცესის გაძღომა უდრიდა მთელი ოჯახის სადილს. ამიტომ, როცა ხუცესი სადილზე ჩვენსას რჩებოდა (და ეს კი ხშირად ხდებოდა), თითქმის სრული რეკვიზიცია და მობილიზაცია ხდებოდა ყველას კერძების, რაც იწვევდა ოჯახში სურსათ-სანოვაგისა და ეკონომიურ კრიზისს.

თქვენ ეგებ მასაყვედურებთ—რა შუაშია აქ ხუცესი, როცა წერილის სათაური სულ სხვას რამეს შეეხება.,

თქვენი საყვედური უსაფუძვლოა. სწორედ სათაურის შესაფერისად იწყება წერილი. (აქაც ღორზეა ლაპარაკი).

ჩვენს ხუცესს სოფელში „ღორს" ეძახდენ. (ალბად იმიტომ, რომ ბევრი ჭამა იცოდა).

ბოდიშს ვიხდით რომის პაპისა და ინგლისელ კონსერვატორების წინაშე, მაგრამ ეს სახელწოდება ჩვენმა ხუცესმა მიიღო არა ურწმუნო ბოლშევიკების დროს, არამედ მეფის დროს.

ჩვენს ხუცესს ღორის ხორცი ყოველივე საჭმელს ერჩივნა.

გაგონილი მქონდა ანდაზა: „ძაღლი ძაღლის ძვალს არ დახრავსო".

მართალია, ძაღლი უფრო პატიოსანი და გონიერი ცხოველია, ვიდრე ღორი, მაგრამ, რატომღაც, ეს ანდაზა, ასე მეგონა, ღორზედაც ვრცელდებოდა.

ჰო-და, ძაღლის თავიც აქ მარხია. ამ „მეგონამ" მიყო საქმე.

ერთ დღეს, როცა ჩვეულებისამებრ, ჩვენი ხუცესი ჩვენსას ღორის მწვადს მიირთმევდა და ძვალს ხრავდა, რომ ზედ ხორცის ნამცეციც არ დაეტოვებინა, ბებიაჩემს შევეკითხე:

— ბებია, თუ კი „ძაღლი ძაღლის ძვალს არ დახრავს, რატომ ხრავს ღორის ძვალს „ღორი"? (მე არ ვიცოდი, თუ არ შეიძლებოდა ხუცესის ზედმეტი სახელის თქმა).

მამაჩემმა მტაცა ხელები ყურებში, ელევატორივით ამწია და გარედ გაგდებისას პანღურიც მომაყოლა უკან.

ბოლო ხანებში, როცა ბებიას აღარ შეეძლო მარტო ეკლესიაზე სიარული, მე გავხდი მისი წევზური.

ვდგევართ ეკლესიაში და ვისმენთ წირვას.

აგერ ჩვენი ხუცესი გამოვიდა და დაიწყო:

„...ღორი, რამეთუ განპებულ არს ჭლიკი მისი, და ფცხენს ფრცხილითა ჭლიკოსათა და ასე არა აღმოცოხნის, არა წმინდა არს, და ხორცი მისი არა შჭამოთ". (დაბადება—ბიბლია, ლევიტელთა მიმართ, გვერდი 214, თავი 11, წინად. 7).

გავშტერდი კაცი.

ხუცესი მორწმუნეა... ბებიაჩემიც, დედაც, მამაც!.. მაშ რაშია საქმე, რომ ღორის ხორცს სჭამენ?! ეგებ ღმერთს უმალავენ? მაგრამ ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს?-

წირვის შემდეგ ხუცესი ბებიაჩემმა სადილზე მიიპატიჟა (ქვრივი იყო ჩვენი ხუცესი).

შემწვარ გოჭს კბილები დაეკრიჭა, თითქოს იცინოდა. გოჭი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქონდა, თითქოს ეს არის, გაქცევას აპირებს და ფიქრობსო:

— კი მიპირებთ შეჭმას, მაგრამ, როგორც კი ხელს ჩემსკენ წამოიღებთ, მაშინვე წამოვხტები, მოვკურცხლავ და ყველას ხახამშრალად დაგტოვებ-ო.

ასე ჰქონდა გადაწყვეტილი იმ უბედურ დღეს დაბადებულ გოჭს, მაგრამ...

სუფრას შემოუსხდნენ და გოჭს მადიანად შეექცენ.

მე გაკვირვებით ვუცქერდი.

—რავა დაგიღია, ბიჭო, ხახა! დამუწე მაგ პირი, ბუზი არ ჩაგიფრინდეს შიგ და აქედან გაეთრიე, თორემ!..—შემომანათა მამაჩემმა ჭოლარა თვალები.

ქურდ კატასავით გავედი გარედ. ზმუკი.



— რა ამბავია? როგორ ღორივით ხჭამ?

— ეს ჭამა შეურაცხყოფა არ არის, თორემ კი ვიცი რასაც გიზამდი მაგ სიტყვისათვის



# უარყოფითი ბრალდება



ლორი:—ეტყობა ეს ჩემი ნათესავია, კარგად მიმიღებს, როგორც თავისიანს!

— ტყუილი ყოფილა, რომ ამბობენ: „ბიუროკრატები თავისიანს კარგად ლებულობენო!

# ტერიტორია

მე მუდამ მაწუხებდა ფიქრი იმის შესახებ, თუ საიდან ომომსდგება სიტყვა „ტერიტორია". ქართულ პრესასა თუ მწერლობაში ეს სიტყვა იმდენად ხშირად გვხვდება, მას იქ იმდენი ტერიტორია უკავია, რომ ეჭვი მებადება: იქნება ეს სიტყვა ძირეული ქართული სიტყვაა-მეთქი.

სრულიად არაფერს არ ნიშნავს ის გარემოება, რომ იოსებ იმედაშვილის ლექსიკონში, მაგალითად, ეგ სიტყვა უცხო სიტყვად არის მოხსენებული. იოსებ იმედაშვილისაგან, რაც უნდა იმდენად არ ეჩვენებოდეს ვინმეს მისი გვარი, დიდი იმედი მაინც არასოდეს არ უნდა გვქონდეს.

ჩემის აზრით სიტყვა „ტერიტორია" წმინდა ქართული სიტყვა უნდა იყოს.

რა საბუთით მიგვაჩნია ჩვენ სიტყვა „ტერიტორია" ქართულ სიტყვად?

პატივცემულ ნ. მარის თეორიით, სიტყვა იმდენად იცვლება თურმე, რომ ხშირად მისი ხუთი-ექვსი ბგერისაგან შემდგარ ძირს მარტო ერთი ბგერა-ღა რჩება საიასალოდ და ზოგჯერ ეს ერთი ბგერაც კი გადაგვარებულ - გადარჯულებული. შემდეგ მეცნიერები ამ ერთი ბგერის მეოხებით აღადგენენ ხოლმე მთელ პირველ ყოფილ სიტყვას.

გარნა, არც ეს ლინგვისტური დებულება იყო დიდათ საჭირო რაიმე ბოდიშის მოსახდელად იმისათვის, რათა გაბედულად გვეთქვა, რომ სიტყვა „ტერიტორია"-ში ორი წმინდა ქართული სიტყვის ძირი გახლავთ: პირველი: „ტერი", ხოლო მეორე ძირად რომ ყოველივე კომენტარიების გარეშე გამოგვადგება ისეთი ბრჩოლა ქართული სიტყვა, როგორიცაა „ტორია", ამას აღარ უნდა ბევრი ჩიჩინი.

ჰო-და აი, სწორედ ამ ორი წმინდა ქართული სიტყვისაგან: „ტერი" და „ტორია" უნდა წარმოსდგებოდის ისეთი წმინდა, ხოლო დღეს, ი. იმედაშვილის წყალობით, საეჭვოდ და სადაოდ გამხდარი მესამე ქართული სიტყვა „ტერიტორია", მაგრამ მარტო ლინგვისტიკის მშრალი მეთოდით ამჟამად სრულიად არ ვკმაყოფილდებით ამ სიტყვის წმინდა ქართულობის ახსნაში და მივმართავთ მის პრაქტიკულ მნიშვნელობასაც „ამ სიტყვის, ასე ვსთქვათ, ყოველდღიურ „ობიხოდობას".

ამ სიტყვაში ისევე მკაფიოდ, როგორც გაუვალ ეკლნარში ან ისევე ნათლად, როგორც „პრობკაში" გამოხატულია ის აზრი, რომ „მტერი-ტორია" ანუ „ტორი-მტერია".

სიტყვა „ტორი" ამ შემთხვევაში უნდა ავხსნათ, როგორც ზედმეტის დაუფლება, როგორც ფართოდ მოკალათება, ხოლო სხვების იქით-აქეთ მირეგვა. მაგალითად, რას ნიშნავს ამ სიტყვის ძალით ინდოეთის ტერიტორია. ნიშნავს იმას, რომ ინდოეთის მტერი, ვისიღაც ტორია.

მე მგონია ბალღიც კი დაგვეთანხმება იმაში, რომ ის ტორი ინგლისის, უგრეხწოდებული ზღვის ლომის ტორია.

ასევე შეიძლია ავხსნათ ჩინეთის, გინდ („გინდ"-ით არავინ წაიკითხოს), რომელიც გნებავთ, კოლონიალურ თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნის ტერიტორია.

მაგრამ ამავე სიტყვას არა ნაკლები პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში.

აიღეთ, მაგალითად, რომელიმე შოფერი. როცა შოფერი მანქანას მიაგლიჯინებს ქუჩაში, რომ ის მართლაც საშიში და საფრთხიანი ტორია, ამას არ უნდა ბევრი „ზრასტი". გადაშალეთ ყოველდღიური გაზეთის მეოთხე გვერდი და ჯამათიც ამოიწურება.

ახლა, თუ ამას მიუმატებთ იმ გარემოებას, რომ როცა მარტო შოფერი ზის მანქანაში, მაგალითად „ფორდში", გინდ „ბენცში" (ბენცელ — ბენცელისაგან წარმოსდგება), მაშინ უნდა ნახოთ ის როგორ ევლება თავს მთელს ქუჩას, შიშისაგან ყველაფერი და ყოველივე იქით-აქეთ გარბის და თავს შველის, ხოლო ქუჩა კი რჩება შოფერს. ქვევითი ხალხი იქი-აქეთ ვიწრო ტროტუარზე მიკრუნჩხულა, როცა ათჯერ ასჯერ უფრო ფართო ქუჩას თითქმის სავსებით გალაღებული შოფერი დაპატრონებია და ქვევით ხალხს, მაღლიდან რომ ქირივით ჩამოჰყურებს, მტვერს და ზოგჯერ ტალახსაც უხვად აყრის იმავე დროს თავსა, თვალსა თუ სხეულის დანარჩენ ნაწილში.

# სურამი

(სასტუმრო „უღელტეხილის"

— ეს სასადილო მუშკოოპისაა?

— დიახ, მუშკოოპისა, წითელია.

— სადილი გაქვთ?

— რა ნაირიც გნებავთ.

— მაშ ჯერ ბორში მოიტათ.

— ბორში არ გახლავთ.

— კარგი შჩი იყოს!

— არც შჩია!

— ხარჩო?

— არ გაგვიკეთებია.

— ჩიხირთმა?

— სუპს მოგიტანთ, თუ გნებავთ.

— კაცო, ეს სუპია თუ ცხელი წყა-

— ორივეა, ბატონო, სუპათაც ვარგა და ცხელ წყალათაც..

— მეორე რა გაქვთ?

— კატლეტია საუცხოვო.

მოიტანა.

— რა საზიზღარი სუნი აქვს ამ კატლეტს...

— ეს ბატონო, ალბად ზეთი იყო ცუდი, თვარა ისე...

— როგორ?! ზეთში წვავთ კატლეტს!

— აპა რა ვქნათ, ქონი ვერ ვიშოვეთ!

— ქონით?... ერბოში რატომ არ წვავთ?

— იმე! ერბოს რა უნდა წითელ სასადილოში? აქ ბურჟუეზი კი არ ვართ!

— ეს ლუდი რამ გაათბო ასე!

— სიცხეა, ბატონო, და თბება თავისით...

— ლიმონათი სულ ცხელია!

— ასეა კი, მარა სიცხის ბრალია...: ყინული არ გვაქვს...

გამოვედი „წას ღილევი".

— ვინაა ნეტა ეს კაპრიზნი ხალხი, ისე თხოულობს საჭმელს, ვითომ სახლში იყოს, თუ ჩამა-სმაი უნდა, რალა ჩვენთან მორბის! — ამბობს აღშფოთებული სასადილოს გამგე.

ალლარ.

აი, ნათელი სურათი, რომლის შემდეგაც ყოველად გასაგები ხდება ცნება „ქუჩის ტერიტორიის", მაგრამ ქუჩის ტერიტორიის სავსებით და ნათლად შესაცნობად მარტო ესეც არ კმარა.

აიღეთ სხვა მაგალითი: ახალი ბორნის თოკი თქვენს წინაშე. მიგეჭყლიებათ. თქვენი გული ჯეთქავს ყოვლად წითელი და ნორჩი ბომიდ რისათვის. ჯერ გადასჭერით ეს ბორნის თოკი, ე. ი. გადასჭერით საკითხი ტერიტორიის შესახებ, არა რომელიმე ინდოეთის ტერიტორიისა, არამედ ავერ ქუჩისა და ქუჩაზედ ტროტუარის ტერიტორიისა.

სიტყვა ისედაც გამოგრძელდა, თორემ მაგალითებზე კიდევ უფრო ნათლად დაგიმტკიცებდით, რომ „ტერიტორია" წმინდა ქართული სიტყვაა, რაც ნამდვილად ისევე სწორია, როგორც ქალის თმა (იგულისხმება არა დღევანდელი გურჟდწოდებული „სტრიჟკის" ხანის არამედ ძველი თმისა).

ჰაზირა.

# ვერ უშველა



— მიუხედავად იმისა, რომ თავი დამკვრელად გამოვაცხადე, მაინც მამთქნარებს და მაზრმორებს!

## გომის აღმასკომში

**გლეხი:** — სად არის აღმასკომის თავმჯდომარე?

**დარაჯი:** — სოფელში ობლიგაციის ფულის ასაკრეფად დადიოდა, არაყს შეექცა და მთვრალია.

**გლეხი:** — აღმასკომის მდივანი?

**დარაჯი:** — სამი დღეა წავიდა ტომპანიერის თემში ვახშმიან საღამოზე დასასწრებლად.

**გლეხი:** — მერე ამდენი ხანი რიღა დაავიანა? ესეც ახალი წესია, რომ საღამოზე წასვლას ერთი კვირა მოანდომო?

**დარაჯი:** — მოიცა, თავმჯდომარე მოვიდა.

**გლეხი (მობრუნდა):** — ბატონო თავმჯდომარე, მოწმობა მინდა.

**თავ-რე:** — თავი მტკივა. მდივანი არ არის და ვერ მოგცემ.

**გლეხი:** — თქვენ დასწერეთ.

**თავ-რე:** — ბეჭედი მდივანს გაუკა შემოწმება უნდა.

**დარაჯი:** — ბეჭედი მე მაქვს. მდივანი რომ საღამოზე წასულიყო, ბეჭედი თავისი მამიდასათვის დაეტოვებია სამი დღის წინ და ეხლა მომიტანა.

**თავ-რე:** — მაინც არ შეიძლება. მოწმობას წიგნში გატარება უნდა. გასაღები მდივანს აქვს.

**გლეხი:** — აბა როდის მოვიდე ამ ტიალის ასაღებად?

**თავ-რე:** — ხვალ და ზეგ მდივანი ვერ მოვა, ღამის ნათევია და ისვენებს. იმის შემდეგ დასვენების დღე გვაქვს,... ე. ი. სამი დღის შემდეგ მოხვალ თუ ვიქნენით აქ.

„ჭორიკანა".

## მოთქმა სკოლაზე

ძირულა.

ჩვენო სკოლავ ბედი არ გიწერია
ჩვენ დაგტირით აგერ შვიდი წელია.
ვერ გიშველა ამდენ კვნესა ვაებამ,
აშენება გახდა მეტად ძნელია.
ტეხნიკუმს რომ გპირდებოდენ წინადა,
ჩვენი სახე ბაგესავით ბრწყინავდა.
შენთვის მაშინ თავებს აღარ ვზოგავდით,
სიხარულით ღამე აღარ გვძინავდა.
დახმარებას ვწევდით: შრომით, ფულებით,
ტყავს იძრობდა ხალხი კუდის რიკამდი,
იყო ჩვენში სიხალისე ულევი,
დაპირების იმედს გულით ვზიდავდით.
მაგრამ შრომა დღეს ამაოთ წავიდა
(გულო ამას რათ ვერ გრძნობდი თავიდან)
შენზე თანხა გაღებული ნაოფლი,
ვინ ჩაყლაპა, ვის მუცელში ჩავიდა?
ჩვენო სკოლა, ბედი არ გიწერია·
ჩვენ დაგტირით აგერ შვიდი წელია,
ყურადღებას აღარავინ არ გვაქცევს,
აშენება გახდა მეტად ძნელია.

ძირულელი თალა

## იშვიათი წყევლა

ლაძგვერიის (ცაგერის რაიონი) მახლობელ სოფლებში.

**ფაფალე:** მომესპე, გაგირუტიანდეს და გაგიხმეს მაგ თავი ისე, რავარც ჩვენი სკოლის მასწავლებელ დავით ნემსაძისაგან ნაცემ მოწაფეებს აქვს ტვინი და ზურგი გაყრუებული და გამორეტებული. დაგეყარა მიწა ისე, რავაც მის (დავითის) ნაწყენ ღვინოს აყრიდენ მისი მოწაფეები ნაცარს სამასწავლებლო ოთახში. ისე მინახავხარ უგრძნობლად, რავაც დავით ეგდო უგრძნობლად ჩვენს

**ბარბალე:** ენა ქე გაქვს ლაძგვერიის ქოხსამკითხველოს გამგესავით გრძელი და გაკეთება კი, რავარც მას არ უყვარს, არც შენ.

**ფაფალე:** ისე მოხადა თავი შენმა პატრონმა შენზე, რავარც კომკავშირელი ვალია მანგარია მოყობოდა მღვდელს თავმოხდილი მიცვალებულის გასვენების დროს.

**ბარბალე:** არ გეღირსა კარგი რამე ისე, რავარც ოყურეშის სოფ. ახალგ. სკოლას არ ეღირსა მოთავება.

მწლე-ოლლი.

# სამაგალითო პატივისცემა

## ნამდვილი ამბავი.

ეს მოხდა ღამის სამ საათზე, როცა მთელი ღამის განმავლობაში ბალღინჯოებით და რწყილებით ტანდალადრულ მცხოვრებლებს ძლივს მიეძინათ.

არ ეძინა მხოლოდ უბნის დაუღალავ მცველს, ღამის მორიგე მილიციონერს. ძილს გმირულად ებრძოდა, ღამის ბნელი ძალები, რომ არ გამოპარვოდა. ხშირ - ხშირად გაივლიდა მაღაზიის წინ და უზარმაზარ ბოქლომს წამდაუწუმ ამოწმებდა. ბოქლომი არხეინად ეკიდა თავისთვის და მილიციონერს თავის სიმაგრეს მეათასჯერ უმტკიცებდა.

მიუხედავათ მილიციონერის გმირულ სიფრთხილისა, არ ეძინათ ღამის ბნელ ძალებს, ქურდებს, კოოპერატივის უკანა კარებთან ... ჟუნჩხული მილიციონერის ყოველ მოძრაობას მათემატიკური სისწორით ათვალიერებდენ. მილიცონერმა კიდევ ერთხელ შეამოწმა ბოქლომის სიმაგრე და ღიღინით გზას გაუდგა.

ქურდსაც ეს უნდოდა: სწრაფად მოიმარჯვა სა...თარი წარმოების იარაღები და ელვაზე უსწრაფისად, სრულიად უხმაუროდ მაღაზიის უკანა კარები ჩამოაცალა (ქურდ ბის ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევა). შეიტანა შიგ უშველებელი ტომარა და რაც მის ქურდულ გემოვნებას მოეწონებოდა, ყველაფერი შიგ ჩაუშვა.

მილიციონერი ისევ დაბრუნდა. ისევ შეამოწმო ბოქლომი და ღიღინს მოუმატა, ქურდმაც თავის მხრით ჩამოხსნილი კარები თავის ალაგას ისევ კოხტად ჩააჯინა. მოი ...და ზურგზე ხუთფუთიანი ტომარა და გზას გაუდგა.

უცებ თვალი მოჰკრა შორი - ახლოს მიღიღინე მილიციონერს. ქურდები საერთოდ ჭკუა - მახვილობაში ძალზე განთქმულები არიან.

ქურდი შესდგა წუთით, აზრები აამოძრავდა ამ დროს მილიციონერმაც მოჰკრა თვალი და ის-ის იყო უნდა დაესტვინა მის დასაჭერად, რომ უცებ ქურდმა მიწაზე ბრაგვანი მოადინა, ხუთფუთიანი ტომარა ზევით დაიგორა და ყვირილი მორთო:

— მიშველეთ, გავიჭყლიტე!

გულკეთილ მილიციონერს შეებრალა ტვირთქვეშ მოყოლებული ...კაცი. სწრაფად გაჩნდა დაზარალებულთან და თანაგრძობით დაუწყო ქაჩვა ტომარს. ვერ მოერია და იქვე მდგომ მეეზოვეს დაუძახა და ორივემ შეერთებული ძალითააყენეს აკვნესებული ქურდი.

ქურმა ოფლი მოიწმინდა, ამოიოხრა და აცრემლებულმა წარმოსთქვა:

— ეხ, რა უდროოდ დავსნეულდი. წინედ ოც ფუთსაც ავწევდი და ეხლა კი ამ ხუთფუთიან ტომრის გადატანა სადგურიდან ძმის სახლამდი გამიჭირდა, თუ ძმა ხარ, დამეხმარე, ეს ტომარა ზურგზე ამკიდე ისევ, თორემ დავგიანდები.

ტომარა ისევ ზურგზე აჰკიდეს.

ქურმა მილიციონერს მადლობა გადაუხადა და გზას ჩანჩალით გაუდგა. გულში კი ფიქრობდა:

— ოღონდ ბოქლომი ხელუხლებლად ეკიდოს და შიგნით რაც მოხდება ამის დარდი მილიციონერებს არასოდეს არ ქონიათ.

მილიციონერმა ერთხელ კიდევ „შეამოწმა" ბოქლომი და დაიწყო შორი - ახლო სეირნობა.

ვირთხა.



— მასწავლე, თუ ძმა ...ხარ, რამ მოგირჩინა სმენა - დახშული ყური?
— რამ და, ერთი თვეა რადიოში არაფერი ისმის!

# ქუთაისიდან

აწი მე რო მატარებელში არ შევდგა ფეხი, მეტი არაა ჩემი მტერი!

რაცხ ეშმაკ ტფილისში მომიხდა წასვლა, შემოუჯექი ერთ მატ...რებელს და ...ევაყოლე ტფილისისკენ.

ღამეა. კართოფილის სანთელა ანათებს ვაგონს. ყოლგან ელექტრონი გაყა... და აქანე ჯერ ერთი შუშის დაკიდება გაუჭირდათ? ეგია საქმე?

... ვარ წამოპლაკული სკამზე არხეინა. კანდიხტორი მოდის და მიძინებულ ხალხს უყვირის:

— ლიხი, ლიხი... ბარგს გაუფრთხილდით, არ მოგპარონ!

დაბლა ჩამოვედი. ხაბაკს ვშინჯავ. ფეხები მი...ჩატება. ვხედავ: ჩულქებით დავიარები ამხელა კაცი. ვიკარი თავში ...

— აქამდი გეთქვა შე ოჯახდაქცეულო!

ფარნით მოახლოვდა კანდიხტორი.

— მოუპარავთ!—ამოწმებს ის.

— შენ გეეპარე შენ პატრონს—ვჯავრობ გუნებაში, მარა რათ გინდა.

არ გინდა კაცს იღბალი, ერთხელ ჩევედი ტფილისში და მაშინაც შიშველი.

ბილეთიც ქე გამიხუნდა,—კაცი არ შემომკარებია ვაგონში.

უკან დაბრუნებისას, ზესტაფონში მივლულე თვალი.

— კოპიტნარი!—ყვირის კონდუქტორი.

— ვაი ქუთეისო!— გევივლე გულში.

ჩამოვხტი კოპიტნარში, შემოუჯექი მერე ფოთს და ქე ჩევედი ქუთეისში. ღმერთმა დალახვროს ამფერი მგზავრობა. მეტი არაა ჩემი მტერი, მე აწი ქუთეისიდან ფეხი არ გადავდგა. ერჯენ ქე ვადური და მეორედ დასაკარგავი თავი სად მაქვს, ბიძია!

ბახჩო.

# ზოგიერთ ქალაქების და რკ. გზ. სადგურების



სანიტარი

(მუშკორპის სასადილო, ერთ კუთხეში ოფიციანტები მოგროვილან და რაღაცაზე ჭორიკანობენ. მოსადილე მუშა კულმოდგინედ აკაკუნებს. ოფიციანტები ერთხმად:)

— „სეიმინუტ!—ემსაათში“. და კვლავ განაგრძობენ ჭორიკანობას და სიცილს. (აკაკუნი უმატებს).

— „ სიჩას“, ეხლავე.

მუშის ხმა—ეს აღმაშფოთებელია, ეს ყოვლად დაუჯერებელი დაუდევრობა და სისაძაგლეა. (აბრახუნებს).

ოფიციანტები (ერთად)—სეიმინუტ, ეხლავე, სიჩას! (ორი იმათგანი ცეკვის მსგავსი სიარულით მოუახლოვდება)—რას გვიბრძანებთ?

მუშა—გიბრძანებთ კი არა, პროტესტს გიცხადებთ ასეთი უყურადღებობისათვის—ავერ კერძში მოხარშული ხოჭო ამომაჩნდა, ვაკაკუნებ, რომ ეს ამბავი გაცნობოთ და თქვენ კი არ მომეკარეთ.

სასადილოს გამგე (თავისთვის ჩიხითხითებს)—მამაგიცხონდა შენც ხრისტოფორ კოლუმბივით ამერიკა აღმოგიჩენია რაღა. ერთი ნამცეცი ხოჭო გაპოვნია კერძში და გიკვირს? ხი-ხი-ხი!

ოფიციანტი. ვა, შე კაი კაცო, მაგისთვის გვიძახი? ხოჭო ამოგიჩნდა, აიღე გადააგდე, ახარ ჩვენ ხომ ძალით არ ჩავაგდებდით? არა ხომ თვითონ ჩახტებოდა.

მუშა (მაგიდაზე ხელს დაარტყამს)—ეს თავხედობა და მავნებლობაა, მომეცით საჩივრის წიგნი და გამგეს დამიძახეთ!

გამგე—(მიდის მუშასთან, დანარჩენი ოფიციანტებიც იქ მიჭუჩდებიან, მეორე კუთხეში ისმის სადილმჭამელების და სიცილი. გამგე საყვედურით მიმართავს მუშას)

ვა, მამაცხონებულო, რა აყალ-მაყალი აგიდია დუქანშია, პატიოსან მუშტრებს აფრთხობ, ასე არ შეიძლება და! ერკოპია, ჩასტნი ხომ არ არის ?

მუშა. მომეცით საჩივრის წიგნი, მე თქვენ გასწავლით როგორც შეიძლება. აქ მავნებლების ბუდე ყოფილა აღმოჩენილი. იმის მაგიერ, რომ აღშფოთდეთ და დამნაშავე გამოსძებნოთ, თქვენ მევე მაჩუმებთ?

გამგე. ვა დამნაშავე რომელია, ხოჭო მე ჩავაგდე?

მზარეული—(გამოდის სამზარეულოდან და უახლოვდება „შემთხვევის“ ადგილს) თქვენ არაფერ მინაოტში არა ხართ გამგეჯან, ეგ ხოჭო მე თვითონ ვნახე კონსერვს გადმოჰყვა.

გამგე (მუშას საყვედურით) აჰა, ეხლა ხომ ხედავ რომ მე არაფერ შუა არა ვყოფილვარ?—მამაცხო[ნებულო], ჯერ გაიგე და მერე ილაპარაკე რაღა!

მუშა—(მზარეულს) მერე რომ ნახე, რატომ არ გადააგდე? ხოჭოიან კონსერვს ქვაბში რათ აგდებდი?

მზარეული (მხრებს იჩეჩავს განცვიფრებით) ვა, შენ სადაური ხარ ძმაო, ჩვენი პროფილები არ გაგიგონია?

გამგე — მაგას ნება არა აქვს სადილისთვის დამზადებულ პროვიზიაში რამე უვარგისი იპოვოს და გადააგდოს—მაიშ!

(ამ დროს სასადილოში შემოდის საზ. კვების შემმოწმებელი ბრიგადა, რომლის წევრები უახლოვდებიან „შემთხვევის“ ადგილს და მოლაპარაკეთა სიტყვებიდან ეცნობიან საქმეს. გამგე მიუბრუნდება მათ და ეკითხება):

გამგე. სადილი გინდათ? პავლუშკა დასხედით (ნოქრებს) სეირაა, კოწია მიხედეთ.

ბრიგადის თავმჯდ. — ჩვენ შემმოწმებელი ბრიგადის წევრები ვართ. ამ შემთხვევიდან ნაწილობრივ უკვე გავეცანით თქვენი სასადილოს მდგომარეობას, მაგრამ საჭიროა უფრო დაწვრილებით გამოვიკვლიოთ, აქ რაღაც ცუდი სუნი უნდა ტრიალებდეს.

გამგე. (ცოტათ დაიბნევა, მაგრამ ცდილობს „სიტყვა ბანზე შეაგდოს“ ყნოსავს და თავს აქნევს) კერძის სუნია რაღა, პოვარი ბულიონსა და კატლეტს აკეთებს და ალბათ სკავაროტკის სუნი მოგივიდათ.

ბრიგ. წევრ. ნუ სწუხდებით, კერძების სუნს ჩვენ ვარჩევთ მავნებლობის სუნისაგან. მაგრამ უმჯობესია თავიდან დავიწყოთ. თქვენი ვინაობა?

გამგე. — ვისი? ჩვენი?

ბრიგ. წევრ. — დიახ თქვენი.

გამგე. ავეტიქა გენაცვა.

ბრიგ. წევრ. წინად სად იყავით.

გამგე. ვინა? ჩვენ?.. ჩვენ გენაცვა, წინათ აქ დუქნის ხაზეინი ვიყავით. მაშინ ამ დუქანს ერქვა „რესტორან ნე უედაი გალუპჩიკ მოი“, მაგრამ მერე ერკოპმა ჩამოგვართვა და ჰამაც ზავედუიშჩით დაგვნიშნა — ეს პრიკაშჩიკებიც სულ მაშინდელი არიან. მაშინ ჩვენ ყველანი ჩასტნი ვიყავით, ეხლა კი — უჩრეჟდენიები ვართ — რაღა!

ბრიგ. წევრ. რატომ არა გაქვთ საჩივრის წიგნი?

გამგე —ვა, დალოცვილო, აქ წიგნი რათ გვინდა, ბიბლიოთეკა ხომ არ არის?, ჰამაც საქმია გაუკეთებლობა რა საჭიროა, დღეს, ვთქოთ, ვინმემ ჩასწეროს, ხვალ კონტროლმა დაკლადი გააკეთოს, აქ საქმე გადასწყვიტონ, ძალიუ მოწმეები, რამე და საქმეც გაჭიანურდა. ეს ხომ ბიუროკრატიული გამოვა? აიტომ ბიუროკრატიის მოსპობის მიზნით საჩივრის წიგნი არა გვაქვს.

ბრიგ წევრ; ჩვენა გვაქვს ცნობები, რომ თქვენ დარჩენილ კერძებს ისევ ქვაბში ყრით და მეორეთ ყიდით. რა მიზნით შვრებით ამ ბოროტებას?

გამგე — ვა, დალოცვილო, სულ იმას გაიძახით უტილი გამოიყენეთო, ჩვენც ვიყენებთ რაღა. ერთს დარჩება, მეორეს მიუტანთ და ამით უტილიზაცია შვრებით.

ბრიგ. წევრ. რატომ არა გაქვთ პირის საბანი და ჭურჭლის სარეცხი?

გამგე. პირის საბანი არა, ვოვილოს აბანო მამიხოვე! ჩვენ პირს სახლში ვიბანთ, რა საჭიროა აქ პირისაბანი? მართალია, ჭურჭლის დამრეცხი არა გვაქვს, მაგრამ ამ საქმისთვის მაყალ დარჩუისაგან ის კატა დავიქირავეთ (აჩვენებს კატაზე, რომელიც საინებს ლოკავს), ესეც რეჟიმ - ეკონომიისთვისა ვშვრებით, — ჩასტნი ხომ არა ვართ; უჩრეჟდენია არა ვართ? (ბრიგადის [illegible] წევრები შედიან სამზარეულოში, ათვალიერებენ; კალათებიდან გადმოჰყრიან დამპალ მოსტნეულს, ისვრის ყუთს, საიდანაც გადმოცვივა ნაგავი, ატაკს მოედებიან ხოჭოები, ლოკოკინები, თაგვები;

ბრიგ; წევრი (განაგრძობს ოქმის წერას) თქვენ ყველანი აგებთ პასუხს ამ მავნებლობისათვის;

გამგე და ნოქრები. (შეშინებულ კილოზე) აღარა ხუმრობთ. ჩვენ რა მინავთი მიგვიძღვის. ისე ვიქცევით როგორც ერკოპის სხვა სასადილოები შვრებიან? ჩვენ სხვაზე ნაკლები ხომ არა ვართ?

ბრიგ. წევრი. (მაგიდაზე ხელს დაარტყამს. რომლის დროს გამგე და ნოქრები შეხტებიან ჭერამდე და გარბი—გამორბიან დაბნეულნი).

(ფარდა)

სასადილოს კარებზე ბოქლომი. ზედ წარწერა: „სასადილოში აღმოჩენილ უმსგავსოებათა გამო, სასადილოს ყოფილი გამგე დაპატიმრებულია, რომელიც ყოფ. ნოქრებთან ერთად სამართლო იცნება გასამართლებული. სასადილოში ამჟამად მიმდინარეობს შეკეთება, რის შემდეგ დაიწყება ნორმალური მუშაობა“.

გამვლელი ჩარჩი. (გრაზმოროული წაილულულებს) ვა, მართლა გაუგიათ ამ ბემურაზებს. წავიდე ჩვენებს შევატყობინო ერკოპის მეორე სასადილოში, თორემ იქაც მოგვავნებენ (კუდამოძუებული გარბის).

მუშა — (კმაყოფილებით) აი მესმის! სანამ ყველა დაწესებულებიდან პანღურით არ გავრეკავთ მავნებლებს, მანამდე არ მოხერხდება მუშათა ყოფა - ცხოვრებისათვის წარმატებით ბრძოლა.

უზანგი.

---

# ქონიანი ნიჩაბი

## ქუთაისი

ამხ. ტარტაროზო, თანახმად თქვენი დავალებისა, გამოვიკვლიე სახვაჭრობის ადგილკომის მუშაობა.

მოულოდნელი იყო ჩემი თავდასხმა ადგილკომზე. მისი პ.-მგ. მდივანი ადმინისტრაციის კაბინეტში გადახვეოდა ტეხნიკურ მდივანს ვალენტინას.

ოქმების გადასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ საზოგადო კრების მიერ არჩეული მუშა ლოლობერიძე არ დაუშვია პ.-მგ. მდივნის ი. რობაქიძეს და ტეხნიკურ მომუშავე ვალენტინას, რომლებსაც ადგილკომში ადმინისტრაციის დახმარებით ძალაუფლება ხელში ჩაუგდიათ.

კედლის გაზეთის ჩასაჩუმებლად მათ „დაუნიავებიათ“ რედკოლეგია და კორესპონდენტები. ადგილკომის თავმჯდომარე ამბობს: თუ მე მომიმატებენ ჯამაგირს, მუშა-მოსამსახურეები ფეხებზე მკიდია.

ადმინისტრაციის მაგრად ჩაკეტილ კაბინეტში რობაქიძემ (რა თქმა უნდა კალიტოვსკისთან ერთად) კატეგორიული წინადადება შეიტანა აქტიურ მუშკორის და დაწინაურებულ მუშის ა. სხარულიძის სამსახურიდან მოხსნის შესახებ.

მოწვეული იქნა საზოგადო კრება, სადაც არა მკითხე (ასე უწოდებენ მას) თავმჯდომარე რობაქიძის მოხსნის წინაამდეგ 666 სიტყვა დახარჯა ადმინისტრაციამ.

დასასრულ მუშების მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმის შემდეგ რობაქიძე მაგრა დაადევს ქონიან ნიჩაბზე.

იმავე კრებაზე ერთობ დაუგრძელდა ენა (და შემდეგ ცხვირიც) ტეხნიკურ მომუშავეს ვალენტინას, რომელიც იმავე ნიჩბით ამზითეს რობაქიძეს.

ხლისტი.

# მ უ ხ რ უ ჭ ი

## მოდის რაღა!

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამართველოს რევიზორ-ინსტრუქტორ კანდელაკს წაუყენეს ბრალდება, რომ ის არავითარ რევიზიებს არ აწარმოებდა, როდესაც ის დააპირებდა წასვლას ხაზზე რევიზიის მოსახდენად, მას წინ გაუძღვებოდა დეპეშა: „მოვდივარ. მოემზადეთ".



გუგუნებენ ხადგურები,
არ გეგონოთ თქვენ ეს ჭორი.
მოდის რაღა!
ძმურად მოდის
გატყობინებთ
მოსვლას წინა.
პურმარილით შეხვდით გზაზე.
ნიკოლოზო, პავლე, ზინა.
თუ კი საქმე ცუდად არის:
თუ „ზ...ლია" გროში, ფული
თუ რამე გაქვს სალაროში
შე...ული,
ჰაცქნაფული,—
„ხრიკიციზმი" მოიხმარე,
შეაბრუნე აღრა-საჭე,
და დავთარი, ანგარიში,
მიაქვაჭე-მოაქვაჭე.

მოდის,
მოდის,
მოდის,
მოდის,
კანდელაკი რევიზორი"!..

## ჟულაპუტაძის მონოლოგი

რკ. გზაზე მოლარე ჩხიკვაძემ გაფლანგა საგრძნობი თანხა. იმის ნაცვლად, რომ ბოროტმოქმედი მიეცათ პასუხის გებაში, იგი გადაიყვანეს უკეთეს ადგილზე. მოლარე კოპალიანშვილმა გაფლანგა ფული თოთში, რის შემდეგაც ისიც გადაიყვანეს სამუშაოდ ჯულფაში და სხ.



პროტექცია—ძმაბიჭობის
ჭირიმე.
სახაზინო
ფულს ჩავავლე
პირი მე.
ოთაპი უქენ
სახაზინო ოქროებსო;
ჯულფისაკენ
რკინის გზა მიხტუმრებსო.
როგორ არ ვსცე
ძმაბიჭობას თაყვანი,—
ათასამდი მომცეს გადასაყვანი.
თუ მომწყინდა,—
ვთქვი:
—ჯულფაში რა მინდა?-

თუ მე კიდევ
საირნობა „მომინდა",—
ძველი ხერხით
მოვიჯერებ გულსაო...
რას ჩავიდენ?
კვლავ გავფლანგავ ფულსაო!

---

## ქ ი ა თ უ რ ა

აგერ მოდის სამი ქალი
კაბებ მოკლე, ფეხებ გრძელი,
მანეთს ეუბნებიან:
ტრესტში მიგვაქვს სია გრძელი.
საპატიო ბილეთებით
სულ სავსე გვაქვს უბე, ხელი.
და თუ ვინმე არ აიღებს, —
დავაყენოთ დღე შავბნელი.

—:—

კაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს რომ იდებს ნაზი ია...
რეალური ხელფასისთვის
კომპანია დაგვიწყია.
და რათ გიკვირს, ჩემო გიჟო,
„ვეჩერედი" დაგვიწყია,
ვახშმად ღვინო აღვიკრძალავს,
კონიაკი დაგვიწყვია.
თუ დავთვრებით, ვაი, თამროს,
ხელზე კბენა დაგვიწყია.
არ სურდათ, რას ჩერჩეტობ?
ხელი ჩემსკენ რად მოსწია?!

—

ახალგაზრდა ექიმი ვარ,
სახელად მქვია კოლია.
ლამაზ ქალებს ვენაცვალე,
ფატმანია თუ ოლია.
მლივინეც შიაც გადვიხედე.
კალისტრატ ჩასულიაო;
მაჭრებლები გაუფანტავს,
ფერ- ყველას წასულიაო.
აგერ ხედავს ვაგონი, რომ
გატენ-ლია საცნაო,
თოლრთქე ქალებს გაუსინჯავს,—
მიწით არის საცქოო.
ჩვენი ქვეყანის ზარალია,
თუ რომ წლიურად ასეაო.
საქმე კია მთლად დაიხურაო!
მერწმუნეთ, რომ ასეაო.

ახალგაზრდა".

## „სილოსი"



---

## წმენდაზე

(სოფ. პპტ. კუხი, ხონის რაიონი)

სამკითხველოს ალმშენებლო კომისიას სხდომა ქონდა. მე უჩინრად შევიპარე დარბაზში და დავდექი კუთხეში.

— ამხანაგებო, აქ ჩვენს გარდა არავინ არის, ჩვენი საიდუმლოება არსად გავა. ამიტომ გულახდილად ვილაპარაკოთ ყოველივე! — განაცხადა თავმჯდომარემ.

**კოწია:** — ექვსი წელიწადი მალე შესრულდება, რაც ამ საქმეზე ვმუშაობთ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი არ არის გაკეთებული.

**ლევან:** — რა უნდა გაგვეკეთებია, როცა სამკითხველოსთვის შეკრებილ ფულს ყლაპი უქენი!

**სიმონ:** — მართალია! კოწიამ შეჭმული ფულები უნდა ჩამოყაროს, თორემ ისე არაფერი გამოვა.

**მაქსიმე:** — თქვენგან ხეირი არ იქნება, მე მივდივარ.

**ლონგინოზ:** — ასეა, ჩემო კოწია, ფული უნდა ჩამოყარო: ხომ იცი, როგორ გვქონდა მამასისხლად ხალხში კაპიკობით შეკრებილი.

**კოწია:** — მე არ მინდა თქვენთან მუშაობა. ამომშალეთ კომისიის სიიდან. (გაბრაზებული გადის).

**ხმები:** — ფული? ფული?

**კოწია:** — ყინულზე დასწერეთ, ყინულზე!

ნიგრში.

ჟურ. „ტარტაროზი"-ს რედაქცია და მისი თანამშრომლები აუწყებენ ამხანაგებს, ხელისმომწერლებს და მკითხველებს ჩვენი ნიჭიერ ახალგაზრდა მხატვრის

**ამხ. ვ. ქ. სილქინის**

ტრალიკულად დაღუპვას ქობულეთში ზღვაში ბანაობის დროს.

# აგარაკი სახლში

ნახ. სილქინის



# „ტარტაროზ"-ში მოთავსებული მხატვარ სილქინის ნახატები

ჩინეთის საზღვარზე (მე-16-ე გვ. № 1).
მლიქვნელი (მე-7-ე გვ. № 2).
საყასბოში (მე-7-ე გვ. № 3)
ცოლიც გაურბის (მე-3-ე გვ. № 9).
ჩიხში (მე-3-ე გვ. № 10).
სიტყვა და საქმე (მე-14 გ. № 10).
თვითონაც არ სწამთ (მე-3-ე გვ. № 11).
უმუშევრობასთან ბრძოლა (მე-7 გვ. № 11)
დათვური სამსახური (მე-13-ე გვ. № 12).
„შეჯიბრი" მე-7-ე გვ. № 14).
ეკლესიაში (მე-5-ე გვ. № 15).
რომის პაპის ზარბაზანი (მე-7-ე გვ. № 15).



გასტროლებზე (მე-15-ე გვ. № 17).
ნოქარი და გამგე (მე-14-ე გვ. № 18).
მიზეზი (მე-11-ე გვ. № 22).
ორი სხვადასხვა (მე-7-ე გვ. № 24).
ტფ. ცენტრ. კლინიკაში (მე-6-ე გვ. № 18).
სოც.-დემოკრატი (პირველი გვერდი № 27).
ცერგიბელის ფრთების ქვეშ (მე-3-ე გვ. № 27).
ოპორტუნისტი ექსპრესში პირველი გვ. № 28.
ინდუსტრ. ტემპი (ძე-8-9-ე გვ. № 28).
პატაკი (მე-10-ე გვ. № 29).
„ძაღლი ჰყეფს, ქარავანი მიდის" (მე-16-ე გვ. № 29).
ცეკვა თუ... (მე-2-3-ე გვ. № 30).
თანამგზავრი (მე-4-ე გვ. № 30).
საიქიოდან (მე-6-ე გვ. № 31).
აგარაკზე (მე-9-ე გვ. № 31).
აგარაკი ოჯახში (მე-8-ე გვ. № 32 და სხვა).

## დახურული წერილი

### ჭრა-კერვის კურსების გამგეს, გიორგი ლორთქიფანიძეს

სალამი გიორგი.

რასა შვრები? ხომ კარგათ მიდის შენი ბნელი საქმეები?

საკვირველია, ბიჭო, როგორ გადაურჩი რევიზიას, ისე, რომ ვირების აბანოში არ ამოგაყოფინეს თავი.

საკვირველია, როგორ უხვევდი თვალებს მასწავლებლებს და ექვსი თუმნის ნაცვლად 20 მანეთს აძლევდი, დანარჩენებს კი ჯიბეში უშვებოდი. სკოლის შემოსავალსაც ხომ მაგრად გაჰკარი კბილები. გახსოვს, რომ მელოიძებოდი—შენს მეტმა არავინ იცის ეს საქმე და არ გაამხილო.

—

ეგ ფული ქე გაათავე. იქიდანაც ქე მოგხსნეს. ერთი ბოთლი კვასი მაინც მახსოვდეს შენგან.

ბიჭო, რაც იყო, იყო, ჯანდაბას შენი თავი, მარა ამაზე თუ უარი მითხარი, იცოდე მოგჭაყავ ხალხში. იმდენი ლურჯი სატინები რომ გაქაფე შეკვეთებიდან და სახლში წაიღე, ერთი სახალათე მაინც მომეცი, თვარა შენს ცოლს ყველაფერს ვეტყვი, რომ აფერისტულად ნაშოვნი ფული ქალებს შეაჭამე.

ასე, ბიძი, ერთი სახალათე ჩამოდევი, თორემ ესაა ბოლოპარაკდი რადიოსავით.

**შენი შანხაი.**

**გიორგის უააუყვედურებთ სხვისი სატინის „გაქაფვა", ამავე დროს თქვენ მისგა ქრთამს მოითხოვთ საიდუმლოების შენახვისათვის. ჩვენი ჩანგალი, ამ შემთხვევაში, თქვენთვისაც საჭიროა და ჩვენ ამას არც დავიზარებთ**

**ტარტაროზი.**



როგორ სადილობს ტფილისელი მოქალაქე

## დეპეშები

### მკვდარი წერტილი

სოფ. ტაბახმელა. მუშაობა საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დამამზადებელ სადგურში არ დაიძრა ეგრედწოდებულ მკვდარ წერტილიდან, ვინაიდან გამგეები ყველ ახალ მთვარეზე იცვლებიან.

**გვინჩი.**

### უსასჯელო სასჯელი

ოზურგეთი. სახალხო სასასამართლომ ლადო საკართქილაძეს საკრედიტო ამხანაგობის 1.500 მანეთის გაფლანგვისათვის კარგა ხანია დაპატიმრება მიუსაჯა, მაგრამ ლადო ეხლაც არხეინად სეირნობს; ასე, რომ თუ ს აჯული გაღ წყვეტილების დღიდან ჩაეთვალა, უკვე ნთხდილი ექნება კანონის ძალით. **უჩი.**

### მშვიდობიანი დღე

სენაკი. ბოგირზე, სასამართლოს ახლოს, გუშინ დამტვრა მხოლოდ ოთხი ავტო, 12 ურემი და 17 მოქალაქეს ფეხი მოიტეხა. ინჟენერთა გამოკვლევით ბოგირის შეკეთება შეუძლებელია, თუ ორი ურემი ხრეში არ მოაყარეს

**ფერია.**

### ახალი გამგეობა

ბოგი (ქუთ. ოლქი). ალიოშა ცინცაძემ გამოიგონა ლაპარაკის ისეთი აპარატი, რომლითაც ტყუილი სიმართლედ საღდება.

გარდა ამისა ხუცეს მამის მადლით მოჯმაგირეს ამუშავებს ხელშეკრულების გარეშე, ვინაიდან მას ოფიციალურად არა აქვს მოჯამაგირის აყვანის უფლება.

**მებრძოლი.**

### ჰეგოგრული ჯიბრი

ასპინძა. ვანო ავაქოვმა და გიორგი ბარანაშვილმა ერთმანეთში გამოაცხადეს ჯიბრი მეტ ღვინის სმაში. ჯერ-ჯერობით ორივე თანაბრად არიან და იძინებენ კლუბში. ამას გამო კინო-სურათების ჩვენება გადადებულია ჯიბრის დასრულებამდე, რადგან არცერთ მათგანს არ სცალია ამ საქმისათვის.

**კულაშელი.**

### „გოჭოურას რადიო"

ქუთაისი. მელიკო ლეკვეიშვილმა გოჭოურას წისქვილზე თავის ეზოში მოაწყო მსოფლიოში უძლიერესი რადიო-ჭორის სადგური, რომელიც დღე და ღამეში ავრცელებს 2.000 ჭორს, 1000 ფუთ საცრუეს, 10.000 ტონა სიყალბეს, მოწყობილი აქვს კატის ფოსტები სხვა კუთხეებთან კავშირის დასაჭერად. **ბ—ო.**

### კოვზი ნაცარში

საჩხერეში. სიმონ მეიშვილი თავს დაესხა მოჯამაგირე ქალს, რომელმაც მოაგერია სიმონის იერიში.

**ცხრათვალა.**

### სახელის გამოცვლა

ახალციხე. რაიკავშირის გამგეობამ გამგეობის თავმჯდომარის ივანიძის წინადადებით დაადგინა: „ვინაიდან კავშირში უმთავრესად მოკალათებული არიან ყოფილი ვაჭრები, ამიტომ მას (რაიკავშირს) ეწოდოს „ყოფ. ვაჭართა თავშესაფარი". აბრას ამ დღეებში გამოსცვლიან. **ისარი.**

ახალ-სენაკი, ნახ. კახიანის.
(ამხ-ბა „მეჯოგე")



— მაშ ამდენი ყველი ვისია, რომ არ მაძლევ?
— გამგეობამ ნათესავ-ნაცნობებისათვის გადასდო.

ნახ. ასცვატაცუროვის



— ნუ გეშინია, ოპერაცია კარგად გაივლის. მართალია, ასეთ ოპერაციას მხოლოდ ერთი თუ გადაიტანს ხუთში, მაგრამ მე უკვე ოთხი ზედიზედ მომიკვდა.

გორი. ნახ. ხადურის.



— ქ[illegible]ში არ მ[illegible]ბენ, ნაკნეინარი ხართ, არ გამოდგებით. ჩემისანა მეთვალყურეობას და კაპასობას ვინ შესძლებს ბოსტანში, მომუშავე ქალებზე! ამაში ნამდვილი სპეცი ვარ.

ლანჩხუთი. ნახ. ჩხაიძის



— ღორის ყიდვა მინდოდა და ბაზარში ვერ ვიშოვე.
— ბაზარში რა გინდოდა? ვერ წა[illegible] სადგურში?

ქუთაისი. ნახ. ხოფერიას



რკინის გზის სამკითხველოში



რკინის გზის სასადილოში

# გამოაშკარავებული ცოდვები

(საჭილაო-სენაკი)

—თქვენი გვარი?
— ჯანელიძე ვარლამი.
— თანამდებობა?
— მასწ... უკაცრავად მარნის ეპოს თავმჯდომარე.
— თქვენ პარტიის წევრი ხომ არა ხართ?
— ჰმმ... ჩემს დამტკიცებას საშველი არ დაადგ[illegible], რა არ ვილონე, სოციალური მდგომარეობის შესახებ წარვადგინე უკიდურესი სიღარიბის მოწმობა, მაგრამ მგონი არც ამან მიშველა. ჰმ, მაგათი საქმე არ იყოს, გამიგეს ალბად, რომ საშუალო ფენას ვეკუთვნოდი და ვიცრუე.
— საბჭოთა აპარატის წმენდა გაიარეთ?
—კი, როგორ არა. ასეთი შეკითხვები იქაც ბევრი მომცეს, მაგრამ ძმა-ბიძების დახმარებით იოლად გავედი, კომისიის თავჯდომარე ჩემი კარგი ნაცნობი იყო... ვინ რას დამაკლებდა!
— ირკვევა თქვენ ღარიბი კი არა, საშუალო შეძლების, ყოფილი მამასახლისის შვილი ყოფილხართ.
— (თავისთვის) ჰმმ, მაგათი დედა... (მას) აბა ვის უნდა სიღარიბე, მაგრამ ცუდი ცრთა, სიღარიბის მოწმობა თუ არა გაქვთ, ფ[illegible]ს ვერ ხახვალთ, მეც ამ მიზეზით „გავლაიაბდი".
— სად გააქანეთ ივნისის თვეში მიღებული ტილო და შალი?
— (თავისთვის): — მაგათი დედაც, ესეც სერიოზული გაცემა... ჰმმ, ვინ გამცა. (მას) რას უზამდი? განა ცოტა მყავს ნაცნობმეგობრები? ღარიბებს მაინც არ შეეძლოთ საქონლის შეძენა. ჰმმ! (ნერვიულობს).
— ხომ არ გადაგიცვლიათ თიდ-ფასიანი კრებდიშინი?
— ჰმმ... როგორ არა. გავცვი ერთი საკაბე. რამდენიმე თვის შემდეგ, უკეთესი ღირსების კრებდიშინი მივიღეთ, და რადგან ნაცნობ ქალს პირველად წაღებული თიდფასიანი კრებდიშინი არ ჰქონდა შეკერილი, გადაუცვალე იმავე ფასებში. რამდენიმე მანეთის განსხვავებაა, მაგრამ ეს მოხერხებულად გავატარე წიგნებში...
— ცენტრალურ სავაჭროში რაიმე უთანასწორობას ხომ არ ჰქონია ადგილი?
— (თავისთვის) მაგათი დედა... (მას) რა უთანასწორობას? ქალიშვილთან არშიყობა, ხვევნა-კოცნა და... ლ. ცაგურია დამნაშავეა იმაში, რომ ვერ მოითმინა და.. მარა ეს თუ უთანასწორობაა, მე მთლად დასახვრეტად მქონია საქმე. ცაგ[illegible]ია შემჩნეული მყავს ფართლის გადაპარვაში გადაარშინების დ[illegible]; ყოველ ათ მეტრის გადაარშინებაში მომხმარებლებს უსათუოდ ერთი მეტრი დააკლდებათ.
— ამ უთანასწორობის წინააღმდეგ თქვენ რა ზომები მიიღეთ?
— თაუდოდა ეს საკითხი დამესვა უჯრედის კრებაზე, მაგრამ პროკოფი ნოდიამ ამის საშუალება არ მომცა.
— პროკოფი ნოდია ხომ არ არის ცაგურიას ნათესავი?
— ნათესავი არ არის, მაგრამ მის ცოლს რაც გარეშე აძლევს ყოველგვარ საქონელს.
— [illegible]ზეთებში და „ტარტაროზში" ხომ არ ყოფილხართ გაწერილი?
— რამოდენიმეჯერ, მაგრამ არც კი მშვენია, [illegible]ით ვერაფერი დამაკლეს.

უშანგი.

# ესიკაის მოთქმა

უი გუუწყრა ქვეყნის გამჩენი და ოხრათ: დარჩა თავი მიხელას და ლავრენტიას. — იგინმა რაფერ ამაუ..ქებია ოჯახი და აი, მამასისლათ ნაკტავი და ნაწყდავი საყოლი გამაპარტახებიეს.

მივადექი და გუურიე რიარია და რიეინა რაც ქათმეჩი და ინდოურები მყავდა, ერთი გოჭი არ გამიშვია ჩემს ბარაზე სუყველა ოხრის ფასად მივაყიდე ბაზარზე. (ქე მაინც მე მეჭამა). ოი გიერია შავი ჟამი და მოტინტილდა ჩემი ამომგდებელი.

— ბიჭო და აია ახლა დეიწყო ქვეყნის ძარცვა - გლეჯაო. კოლექტივები შემოიღეს შიგ ჩაგიტყუებენ, ყოლიფერს ჩამოგართმევენ, გაგატყავებენ და მერე მიყურე ხახამშრალიო.

რას იზამდი აბა კაცი. მერე—და მთლად იგინს რავა დუუჯერებდი, რავა ღმერთი გამიწყრებოდა, რომ აი ჩვენი თავმჯდომარე არ გამოსულიყო ისე მკვახეთ (თურმე არც იგი იყო ...რგ გუნებაზე). მეც ქე შემიპარა იჭვი და ქე ამოვა... ოჯახი — მივაყიდე ყოლიფერი და მივადექი ძალა უნებურად მეწველე ძროხასავით და ჩავიწერე კოლექტივში.

არ გასულა ... ტა ხანი და სტალინმა შემოთვალაო, თუ არ გინდათ ქე ამეიწერეთ, ჩვენ ძალას არავის ვაყენებთო.

ამევიწერე კიდევაც. დავრჩი ჩემს ფაცხაში ძველებურად, მარა აი, კესარიე, რომ გამევიდოდა უწინ ყოველ დილას და ერთ ქილა სიმინდით, რომ დააპურებდა ქათმებსა და საყოლს, — სადათაა ახლა იგი კი არა, რა რათ ოირდა მისი ერთი შემოძახება „ჭიჭი - ჭიჭი"-ს, რომ კრიმაჭულით გადიგარგალებდა. მოგჭამა ჭირი. გიდილიჲით აქვს ჩამოგრძელებული ცხვირი ნაცარში, არ გასულა დიდი ხანი, და თურმე, ნუ იტყვი, რომელი ძალა, რომელი ზორი და რა გაძარცვა. ვინ გედავება. ვინ გეხვეწე... რა გოჭი რა მოჭვა. ვის უნდა, ვის მიაქ შენი რამე თურმე.

აი, შენ ოჯახქორო (ხეს ველაპარაკები), თურმე შენთვისაა მისწრება, შენ თვითონ უნდა მეითხუო მეზობლებთან ერთად, რომ ჩვენ კერძოკერძოთ მუშაობას გვირჩევნია ამხანაგურად — შეერთებული მუშაობაო. ამის მეტი რა მინახავს და რა გამიგონია, რომ მარტოთ ყანაში თოხით ფუგნას, ორახელაით და ნადურით ერთად მუშაობა, რომ ჯობია. შედი, შეამხანაგდი ერთად და გაახვავერიელე შენი ბარაქა. თურმე იგი კი არა, იქით წეიღე ყოლიფერი მოწყობილობა და შენი კავსახნისი ოცდა ათ სალაგაი რომაა ნაფოტებივით დაკერებეული, — მიაყუდე კედელზე.

ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო, რომ იტყვიან, სწორეთ ჩემზე და ჩემისანებზე არის ნათქვამი, რა ჯობია, პოშო, ოცდა ათი კაცი ერთად, რომ ნადურს კიჟინობენ და ერთდ მუშაობენ. წროულს გვიანია და გაისიზა თვარ მიმიღეს კოლექტივში, ძალით მივაწობი და გლეჯას გავადენ შიგ შუა კოლექტივში.

ასე ვიზამ ამას.

მიხელამ და ლავრენტიამ ჩეჩოს მატყლი ნაცარში.

**ჟირიმტარტარი.**

# „გასამხედროება"

ვარციხის საბჭოთა მამულის თანამშრომელი ვანო ბერძენიშვილი ერთ ხეს არ გაუშვებს, რომ ნიშანში ტყვია არ ესროლოს.




— თავს ვუშველოთ, ვანო ბერძე ნიშვილი მოდის!

# მეწაღეთა არტელში

კალისტე (არტელის გამგე).—ამხანაგებო და ძმებო. ხომ იცით დღეს გლ..კორმა რომ არ ჩამოიაროს, არ იქნება. ..წ მუ...რე..ი გავაწბილ... თ— წაღ ..ი დაილიათქვა, თორემ ..ერ გავყიდით ზედმეტ ფასებში, როგორც ვყიდით.

ლადიმე (არტელის წევრი):—თუ უწესრიგობა დაინახა რამე, გაზეთში გაგვწერს.

ოშა (არ... ...ის წევრი):—გა..წერა, თვარა არ გადაგვაჭრას თავზე ბოლო... კუდი. ... არსენ კი გა...რეს, მარა ყურადღიბ... არავის მ ..ქ...ვია. წა...კითხით, მხოლოდ და მეტი აფერი. ჩვენზეც ასე იქნება, წაიკითხავენ, გაიზნე...ებენ , გეიარს და წავა.

**X.**

# პატარა მოთხრობები

### ძირს სიბერე!

გაახალგაზრდავების დარგში დღეს ბევრი პროფესორები მუშაობენ; პროფესორები კი არა, ეს საქმე, თურმე ისეთი ადვილი ყოფილა, ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებაც გასაცვიფრებელ შედეგებს აღწევს.

აი მაგალითიც:

სასიძო თანახმა იყო ქალი წაეყვანა, თუ ეს უკანასკნელი ახალგაზრდა იქნებოდა. საუბედუროთ ქალს ოცდახუთს წელზე ფეხი გადაბიჯებული ჰქონდა. მაგრამ ვიღაცამ ასწავლა — მიემართა ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებისათვის. ქალიც ასე მოიქცა.

ჯანმრთელობის გახყოფილება მას საქმროსთან წარსადგენად აძლევს ასეთ მოწმობას:

МОЖМОБА № 9582

ჯანმრთელობის განყოფილება ამით ადასტურებს, რომ თანახმად მისი განცხადებისა შეიმოწმა მოქ... (აქ სწერია ქალის სრული ვინაობა, მაგრამ მისი დასახელება ჩვენ უხერხულად მივაჩნია) განყოფილებასთან არსებულ საექიმო კომისიაში ა. წ.-1 ივლისს და აღმოჩნდა 15 წლის. ცნობილია ჯანმრთელად.

ჯანმ. განყ. გამგე გრიგოლაშვილი.

ექიმი. შანიძე.

აი, ასე მარტივად და უბრალო საშუალებით აახალგაზრდავებს ხალხს ქუთაისის ჯნმართელობის განყოფილება. უხაროდეს ყველას, და უფრო მეტად ვადაგადასულ გაუთხოვარ ქალებს.

### გომის „ზაგმუკი“

აუქციონის ესტრადაზე: კონიაკი, ხაჭაპური და... ახალგაზრდა ქალი.

ყარყუმი აცხადებს:

— ამერიკული აუქციონით გაიყი-



დება კონიაკი, ხაჭაპური და ეს ლამაზი ქალიშვილი.

ხალხი ამოძრავდა.

რაინდებმა ულვაშებზე (ვისაც ჰქონდა) ხელი გადაისვეს.

ხნიერი ხალხი გაკვირდა:

— როგორ? ქალის გაყიდვა? ღმერთო დაგვიფარე, ამას რას მოვესწარით! — და პირჯვარს იწერდენ

შეიქნა ჯიბრი.

ახალგაზრდები, შეზარხოშებული ახალგაზრდები, ერთმანეთს ეცილებიან და ქალის თვითლირებულებას ზევით სწევენ.

ქალი, კონიაკი, ხაჭაპური, — აი „წმინდა სამება და ერთარსება...“ ძვირფასი განძის საუკეთესო შემადგენლობა

არ იფიქროთ ეს ამბავი გლეხოვის „ზაგმუკი“-დან იყოს! არც ის გეგონოთ — თითქოს ეს ხდება რომელიმე ახალშენში, სადაც სპეკულიანტები მონებს ყიდულობენ.

არა. ეს ხდება გომის თემში, სამტრედიის რაიონში, ქუთაისის ოლქში.

აღმასკომის მდივანს ვინ აჯობებდა: კაცს ჯიბეში ჰქონია სახაზინო ფული.

— 120 მანეთი! — უკანასკნელად მისი ხმა გაისმა.

—დარჩა მას ბური და მოიტანე!— შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი.

მარტო 120 მანეთი არ ეყო მდივანს. [illegible] და ხაჭაპურით შეხურებულს. თავი ძველ თავადათ და თემის ბატონად წარმოედგინა.

კონიაკს ქალზე უფრო მეტი უთოქმედნია (მდივანსაც ეს უნდოდა).

ასე აძლიერებენ „[illegible]ტურულ“ ფონდს ზოგიერთ ადგილებში.

ასე შეაქვთ „კულტურა“ სოფლად „კულტ-რევოლიუციონერობს“.

# მეისრის წერილი სასიდედროსთან

იმ სიკვდილს დეეფსო თვალები, შენ ქმარს რომ ეცა და შენ ქე დაგტოვა ჩემი გულის მოსაკლავად. შენი ქმარი რომ ცოცხალი იყოს, სიძოობაზე რავა მეტყოდა უარს! მე და იმ ცხონებულს რამდენჯერ გვიქეიფია „შიოს მარანში“, ცოდვა არაა იგი მიწაში იყვეს ამოდებული და შენ კი აქ წამლავდე ჰაერს? არა, რა სინდისმა მოგცა რო დაგიბარებია მაჭანკლებისათვის:—იმას რავა მივსცემ ქალს? ერთხელაც იქნება ჩამეეძინება სტრელკაზე და მოახდენს კრუშენიასო; მერე სტაცებენ ხელს და გაუყენებენ ვირის აბანოში კაი ხნით.

კრუშენიები არ ასცილდა შენ ოჯახს, მე იგი არ მომიხდეს. იმისანა ფხიზელი ვარ სამსახურში, რომ დღე და ღამე რომ ზედიზედ ვიმორიგო, მაინც არაფერი წამიხდება.

კიდო იგიც ქე გითქვამს ბილეთები ქე მოუსპენ და მეტი ქე რაღაა მათში საინტერესოო. მართალია; თექვსმეტის მაგიერ ორ ბილეთს გვაძლევენ, მარა იქნება უპრავლენიეს წამოუაროს ხუშტურმა და ქე გამოსცეს პრიკაზი და ერთი ათამდი მაინც გაგვიხადოს. მაშინ ნიჩაო, აღარ დაგვჭირდება ყოველ რკინის გზელს ობერებთან ლრიტინი უბილეთოთ წაყვანისათვის. თუმცა ნუ მოვინდომებ სადმე წასვლას, თვარა ბილეთს რავა ვიყიდი. რამდენი რკ.-გზელი ახლა უბილეთოდ დადის ჩვენი ობერების წყალობით, იმდენი კაპალი დაგაჯდა მაგ მოწამლულ ენაზე, რომიომაც მე გული დამინელა.

არა, მაინც რას მწუნობ? ვინ გყავს ჩემი ფასი შენს გვარში? მე შენ, გეტყვი, შეხედულობით შემედრებიან, ან კიდევ ძველი რევოლიუციონერობით! შენ უნდა გიყურებია 1905 წელში, როცა მივეპარე გოროდოვოის და ვშვლიპე ქვა თავში; თავი სამად გოუტეხე.

ერთხელ კიდევ სასაფლაოზე ხუცეს ხელიდან გამოვტაცე მოგროვებული საკურთხი და მისი ფოფოდია ხახა მშრალი დავტოვე.

ამისთანა ვაჟკაცობა სხვაც ბევრი ჩამიდენია.

ამ წერილზედაც არ დაგამუნჯოს გამჩენმა, რავაც სხვა წერილებზე დამუნჯდი და პასუხი არ მაღირსე თვარა ერთ ღამეს გეწვევი ჩემი აფსონებით, და რო მოვალ შენ შვილს ზურგზე, მგელივით გოუყენებ ტყეში. მერე დაჯექი და ჩეჩე მატყლი.

ასე და ასე. ეხლა, მართლა, ცოტა გულმოსული წერილს გწერავ, მარა ნებით, და რო მევიდებ შენ შვილს შეგიყვარდები, რომე ყველაფერი უსიამოვნება დაგავიწყდება.

სხვა ისე აქანა კანტორაში ერთი კაცი მყავს, რომელსაც ერთი რო უთხრა, მეტი არ უნდა ხელად ჩავაწერიებ შენ თავს დედაჩემად და უფასო ბილეთი ქე მოგეცემა.

კირი.

„საიდან“-ს (სოფ. ნახახულევი, ხონი). კოლექტივის თავმჯდომარე ვასო კოპალეიშვილზე გვწერთ, რომ:

ჩამოაცვა მემუსიკეთ
ყურებზე თითო მანეთი
ცეკვა სცოდნია ისეთი,
გაკვირდა მთელი მილეთი,
ღვინით სავსე ხელიანი
გამოსცალა ერთი ყლუპნწით...
(საქმეს უნდა დროზე შველა,
გაფლანგვამდე ნუ დაუცდით).

**სანდალს.** თქვენი დედის მისამართი რომ გამოგვეგზავნათ, ჩვენი ხარჯით გავუგზავნიდით ამ თქვენს წერილს დედათქვენს. შემოიარეთ რედაქციაში მარკის ნისალებად. წერილს ვერ დავბეჭდავთ.

**ანზინირას.** კარგია თქვენს ლექსში ეს ადგილი:

კაცი ვგიოთიბი მის სიყვარულით
და ლექსებს ითხზავ დამწვარ გულიდან
ვწუხვარ. დღე და ღამ გარემო ვუვლი,
ის მიიპასუხებს: „პაშოლ ხულიგან“.

ქალის პასუხი კიდევ უკეთესია, ვიდრე ლექსი.

**ეწრელ კოლოს** (გურია). გვწერთ, რომ.

ლიდა შეება კალისტროს
მიწას გამქონდა გ/იალი.
კალისტე გიირდში დაიჭრა
მორთო ცივი ხმით ღრიალი.

სასჯელი უკვე მიუღია; ჯერ-ჯერობით ესეც ეყოფა.

**სიკლიპიტოს** (ბოსლევი, ქიათურა). თქვენს წერილიდან ვერაფერი გავიგეთ. თუ გალინა, საექიმო პუნქტის თანამშრომელი, ბებია (ანუ თქვენი სიტყვით „კუშერკა“ )არის და არა ექიმი, მაშინ ის მართალია, რომ ავათმყოფ მჭედლიძის ნახვაზე უარი განაცხდა. მამაკაც მჭედლიძეს ისეთი რა გაჭირვება ექნებოდა, რომ ბებიაქალი დასჭირვებოდა!

ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:

ჩვენო ქალო ბებია,
შენზე ცუდი ხმებია,—ეს სხვა საკითხია, რომელისადმი ყურის მიქცევა ჯანმრთელობის განყოფილების წმინდა და სალვთო მოვალეობას შეადგენს.

**უსადილოს** (ქობულეთი). ერთ ადგილას სწერთ: „სუპი—მხოლოდ მღვრია წყალი“, შემდეგ კი: „სუპი სავსე იყო დამხრჩვალ ბუზებით“... არ ვიცით—რომელია ამ ორ გარემოებაში მართალი. თუ „სავსე იყო დამხრჩვალ ბუზებით“, მაშინ „სუპი მხოლოდ მღვრია წყალი“ აღარ იქნებოდა.

**სპეტაკს** (აქვე). მთელ წერილად ჰღირს ეს ადგილი:

პარტიულ კაცს არ შეჰფერის
ლამაზ ქალის შეყვარება.
პაემანზე მათთან მისვლა,
მასთან ყოფნა და გარება.

იაშ თქვენი ლოღიკით პარტიულ კაცს შეჰფერის მხოლოდ ულამაზო ქალის შეყვარება? ჯერ თვითონ თქვენ სინჯეთ ამ მოძღვრების საკუთარ ცხოვრებაში გატარება და შემდეგ სხვებსაც დაავალეთ.

**მიზეზვილს** (ხაშური). ჩვენ ამ შემთხვევაში მოგეხმარებით კი არა, პირიქით!

ცოლი მყავს შეუგნებელი
მას კი გაუწყრეს ღმერთია.
ამ ლექსის დაწერისათვის
ყბაში გამარტყა ერთია.

ერთიც რომ ჩვენს მაგიერ ეთავაზებინა, აი კარგი მაშინ იქნებოდა და ჩვენგან მადლობასაც მიიღებდა.

## არ ეღირსა

**სამტრედია**




— ჩემს ქუჩაზე გზა ვერ გამიკვლევია... რად უნდა ნინოშვილის ქუჩას განათებაო... ის სიცოცხლეშიაც ბნელ ქუჩებში დადიოდა, რადგან არალეგალურად მუშაობდა და პოლიციელებს ემალებოდაო!

# სექტემბრისათვის

ყველამ გამოიწერეთ მასიური გაზ. „მუშა"

გაზეთს აქვს დამატება ყოველკვირეული

იუმორისტულ-სატირული ჟურ.

# ტარტაროზი

ორივე გაზეთი ღირს:

**უდამატებოთ 50 კაპ. „ტარტაროზი"-თ 70 კაპ.**

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:** ჯორჯიაშვილის ქ. № 6. (მთავარი კანტორა) ფოსტის საგაზეთო ბიუროში, ადგილკომებ-ში და რწმუნებულებთან.

**პროვინციაში:** ადგილობრივ ფოსტაში, რწმუნებულებთან და ად-გილკომებში.

წლის ბოლომდე ხელისმოწერა უზრუნველყოფს ჟურნალ-გაზეთის წესიერად მიღებას.

**ხელის მოწერა უკვე დაიწყო.**

Библиотека-Музей
ɥ 345
1930

# ბიუროკრატიზმი და სილოსის საკითხი



კრილოვი: — აქ ღორის საქციელი მოსაწონია, ასეთი „მუხა“ მართლაც ძირგამოსათხარია... საჭიროა ჩემს იგავ-არაკში შესწორების შეტანა.